

# მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

## ოქმი №12

ქ. მარტვილი

6 აგვისტო, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13 სთ-ზე დამთავრდა 14.30 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ალექსი გაბისონია, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, ზურაბ მელიავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ელდარ თოდუა, გიორგი რუხაია, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ირაკლი ჯამბურია, ნათია ქაჯაია, ბესიკ ხაინდრავა, დათო ხელაია, გიზო ხარებავა, მიხეილ ნაჭყებია, გელა საკანდელია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი გრიგოლ კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

**მოისმინეს 1:** სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კეჭისყრის შედეგი:

მომხრე 23 წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს №32 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

### დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.  
/მომხსენებელი-ალექსანდრე გრიგალავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი/

/თანამომხსენებელი–გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

**მოისმინეს 2:** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის გრიგოლ კიკალიშვილის მოხსენება, „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ ობიექტების ნუსხა რომელიც უსასყიდლოდ დაეთმო საოლქო საარჩევნო კომისიას, საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

**დაადგინეს:** კენჭი ეყაროს „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეველოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0.

/საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს №33 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია